

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი – მალხაზი ფიფია
თანამდებობის დასახელება –
ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
კომისი(ებ)ის დასახელება - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისია.
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) – N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი
საანგარიშო პერიოდი -2016 წლის 01 ნოემბრიდან 2017 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) – რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:-

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა _ 24
საკრებულოს სხდომებზე დასწრება _ 20

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 15
კომისიის სხდომებზე დასწრება - 15

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა _ 12
ფრაქციის სხდომებზე დასწრება _ 12

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ა) 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის
თაობაზე;

გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის
მუნიციპალური პროგრამების შესახებ;

დ) ლეიკემიით დაავადებულ ავადმყოფთა დაფინანსების პროგრამის შესახებ.

ე) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა
მოსამსახურეთა რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და
საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამშატო ნუსხის თაობაზე

ვ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე

ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N2 საჯარო სკოლისათვის თემურ ფიფიას
სახელის მინიჭების თაობაზე.

თ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი
დებულების შესახებ.

ი) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან
(აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე.

კ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის
გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ლ) ობუჯის ადმინისტრაციული ერთეულის სამესხიოს უბანში ჭაბურღილისა და
წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა - მედანიის
ადმინისტრაციულ ერთეულში ბოგაშის უბანში საძოვრების ინვესტირებზე გასხვისება.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა __16 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა __250

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები
ჩქვალერის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური და შიდა გზების რეაბილიტაცია, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, სოციალური პრობლემები.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

განხორციელდა მუნიციპალიტეტში სტიქიით დაზარალებულთათვის ფულადი დახმარების გაწევა, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე სხვადასხვა სახის სოციალური დახმარების გაწევა, განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

ვარ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისის წევრი. აქტიურად ვარ ჩართული აღნიშნული კომისიის მუშაობაში-კომისიაზე განსახილველად გამოტანილ საკითხებზე სათანადო დასკვნების შემუშავებაში. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- თავისუფალი დემოკრატიები“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებული 12-დან 12-ივე სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილიქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულიქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

შევესების თარიღი- 27.10.2017 წ.

წარდგენის თარიღი 27.10.2017 წ.

ხელის მოწერა

